"ენძელას" თასზე

დასასრულს უახლოვდება ფეხბურთელთა წინა სასეზონო საკავშირო შეჯიბრება "ენძელას" პრიზზე, დარჩა გათამაშების ნახევარფინალური ეტაპი და ფინალი.

მე–3 ჯგუფის ლიდერი თავიდანვე თბილისის "დინამო" იყო, მაგრამ ბოლო ტურისთვის მასთან ერთად გამარჯვების შანსებს ინარჩუნებდა მინსკის "დინამოც", თბილისელებს 6 ქულა ჰქონდათ, მინსკელებს–8 და თუ მატჩს ეს უკანასკნელნი მოიგებდნენ, ქულით გადიოდნენ წინ.

თბილისის დინამოელებმა საუკეთესოდ, სრული უპირატესობით ჩაატარეს ეს შეხვედრა და დაამარცხეს მოწინააღმდეგე – 4:0 2 ბურთის ავტორი იყო გ. ნოდია, თითო გოლი გაიტანეს მესხმა და მეტრეველმა. ამრიგად, მე–3 ჯგუფში გაიმარჯვა თბილისის "დინამომ".

ლელო 25.03.1969 წ.